



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუზარადი

მუზარადი, დამცავი თავსახურავი. საბრძოლო **მ**. თავდაცვის სხვა საშუალებებთან ერთად უძველესი დროიდანაა ცნობილი. ამზადებდნენ ხისაგან, წნელისა და ტყავისაგან. უძველესი ლითონის **მ**. (სპილენძის, ვერცხლის, ოქროსი) აღმოაჩინეს მესოპოტამიაში (ძვ. წ. III. ათასწლ.). ბრინჯაოსა და რკინის **მ**-ებს ხმარობდნენ ძვ. საბერძნეთსა და რომში. I მსოფლიო ომის (1914-18) დროიდან ტყვიისა და ჭურვის ნამსხვრევებისაგან თავის დასაცავად შემოიღეს ფოლადის **მ**. (ჩაფხუტი). ავიაციაში, სატანკო და მექანიზებულ ჯარებში დარტყმისაგან თავის დასაცავად იყენებენ ტყავის **მ**-ს.

საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის **მ**. ჰეროდოტეს ცნობით, მოსხები, კოლხები, ტიბარენები, მაკრონები და მოსინიკები **მ**-ს ხისაგან ამზადებდნენ. ქსენოფონტის ცნობით, მოსინიკებს ტყავის **მ**. ეხურათ, სტრაბონის გადმოცემით კი, იბერიელები ტყავის **მ**-ით იბრძოდნენ. არქეოლ. გათხრების შედეგად აღმოჩენილია ბრინჯაოს **მ**-ები (თრიალეთი, ძვ. წ. XIII ს.). შუა საუკუნეებში მათ რკინისა და ფოლადისაგან დამზადებული **მ**-ები ცვლის. გვიანფეოდალური ხანის ქართ. საბრძოლო თავსახურავები ძირითადად სამი სახისაა: ჯამის ფორმის ჩაჩქანი, კვერცხისებური **მ**. და ჩაბალახი. **მ**-ს გააჩნდა საცხვირე და ყურებისა და კისრის დამცავი ჯაჭვის მჭიდროდ ნაქსოვი ბადე (ზარადი), შიგნიდან კი გამოკრული პქონდა ნაბადი. ქართულ ეთნოგრ. ყოფაში, ხალხურ პოეზიასა და წერილობით წყაროებში უმეტესად გამოიყენებოდა ტერმინები: „ჩაჩქანი“, „ჩაფხუტი“ (უზარადო საკინძი თავსარქმელი) და „ჩაბალახი“. **მ**-ის ზოგადი სახელი, ს.-ს. ორბელიანის მიხედვით, იყო ზუჩი. იხ. აგრეთვე ვაველის მუზარადი.

ლიტ.: ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2011; ჩოლოყაშვილი კ., ქართული საჭურველი (ჩაჩქანი), „საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1957. ტ. 19 A, 21 B..
